

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“  
რექტორის 2017 წლის „11“ დეკემბრის N149 ბრძანების

**დანართი**

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში“ აკადემიური  
თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების დებულება

## 1. დებულების რეგულირების სფერო

- 1.1. ეს დებულება ეყრდნობა საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ და შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდებას, ადგენს აკადემიური თანამდებობების დაკავების პირობებს და არეგულირებს შესაბამის პროცედურებს;
- 1.2. აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინამდებარე დებულების შესაბამისად;

## 2. აკადემიური თანამდებობების დაკავების პირობები

- 2.1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს განეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი;
- 2.2. პროფესორის თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეული იქნას, თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთმოყვანილი ქვეპუნქტებიდან ერთ-ერთს:
  - 2.2.1. ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;
  - 2.2.2. ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულების ან/და სპეციალობისგან განსხვავებული მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/ და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;
  - 2.2.3. ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით პროფესიული მუშაობის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;
- 2.3. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეული იქნას, თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთმოყვანილი ქვეპუნქტებიდან ერთ-ერთს:
  - 2.3.1. პირს აქვს ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;
  - 2.3.2. პირს აქვს ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულების ან/და სპეციალობისგან განსხვავებული მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/ და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;
  - 2.3.3. ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით პროფესიული მუშაობის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი

მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;

2.4. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეული იქნას, თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთმოყვანილი ქვეპუნქტებიდან ერთ-ერთს:

2.4.1. პირს აქვს ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;

2.4.2. პირს აქვს ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულების ან/და სპეციალობისგან განსხვავებული მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;

2.4.3. ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით პროფესიული მუშაობის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;

2.5. ასისტენტად შეიძლება არჩეულ იქნას ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულების ან/და სპეციალობის დოქტორანტი;

2.6. აკადემიურ თანამდებობებზე პირი აირჩევა 4 წლის ვადით.

### 3. აკადემიური თანამდებობების დაკავების პროცედურები

#### 3.1. კონკურსის გამოცხადება

3.1.1. შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ და აქვეყნებს მას საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. ბრძანებით, განისაზღვრება პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორების და ასისტენტების საკონკურსო ადგილების რაოდენობა მიმართულების ან/ და სპეციალობის შესაბამისად და კონკურსის ჩატარების ვადები;

3.1.2. ღია კონკურსის პრინციპებიდან გამომდინარე კონკურსის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ და უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

ა) დაწესებულების დასახელება და კონკურსის წესით შესავსები თანამდებობების დასახელება და რაოდენობა;

ბ) წინამდებარე დებულებით დადგენილი საკონკურსო მოთხოვნები და საჭიროების შემთხვევაში ბრძანებით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნები;

გ) კონკურსის ჩატარების ვადები;

დ) კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და წარდგენის ვადა;

ე) საკონკურსო კომისიის მისამართი;

3.1.3. გამჭირვალეობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია დაინტერესებული პირებისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

#### 3.2. საკონკურსო კომისიები

- 3.2.1. გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის დაცვის მიზნით შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში“ რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვადებით იქმნება საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შეყვანილი იქნენ ის პირები, რომლებიც მონაწილეობენ აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში.
- 3.2.2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში სხვა წევრების გარდა საჭიროა შედიოდეს, შესაბამისი მიმართულების ან/ და სპეციალობის პირი/პირები. საკონკურსო კომისიის თავჯდომარეს და წევრთა რაოდენობას ამტკიცებს რექტორი;
- 3.2.3. საკონკურსო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, კონკურსანტთა მიერ საბუთების წარდგენის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი დღით ადრე. საკონკურსო კომისია ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.
- 3.3. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტთა განაცხადების მიღება
- 3.3.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღების ორგანიზების უზრუნველყოფა ევალება სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სამსახურს. ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველყოფს: კონკურსანტებზე განაცხადების ბლანკების გაცემას, განაცხადების და მასზე თანდართული დოკუმენტების ამ წესის მოთხოვნასთან შესაბამისობის გადამოწმებას და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრულფასოვნების დადგენის შემთხვევაში შესაბამისი წესით განაცხადების სარეგისტრაციო ჟურნალში გატარებას;
- 3.3.2. განაცხადებების მიღება ხორციელდება რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვადების შესაბამისად, ყოველდღიურად გარდა შაბათ-კვირის და დღესასწაულებთან დაკავშირებული, დადგენილი დასვენების დღეებისა, 10 საათიდან 17 საათამდე;
- 3.3.3. კონკურსანტთა განაცხადის დროის ამოწურვისთანავე საკონკურსო ბოლო განაცხადების შემდეგ კეთდება ჩანაწერი კონკურსში მონაწილე პირების საერთო რაოდენობის შესახებ და ჩანაწერს დაესმება ადმინისტრაციული სამსახურის ბეჭედი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა;
- 3.3.4. განაცხადებების მიღების დროს დაშვებული შეცდომების შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს ჟურნალში შესაბამისი ჩანაწერის გასწვრივ. სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერის გადასწორება დაუშვებელია. განაცხადის მიღება უნდა გაფორმდეს ახალი სტრიქონიდან;
- 3.3.5. ადმინისტრაციული სამსახური განაცხადების მიღების ვადის ამოწურვისთანავე მიღებულ საბუთებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს.
- 3.4. საკონკურსო კომისიის მუშაობის განრიგი
- 3.4.1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წევრების რაოდენობის 2/3-ი;
- 3.4.2. პირველ სხდომაზე თავმჯდომარე ასახელებს კომისიის მდივნის კანდიდატურას. მდივნის არჩევა ხდება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით (კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა 50%+1 ხმა). საჭიროების შემთხვევაში, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა (თუ მდივნობის კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, სახელდება კომისიის სხვა წევრი);
- 3.4.3. კომისიის მდივანი არჩევისთანავე ადგენს სხდომის მიმდინარეობის ამსახველ ოქმს.
- 3.4.4. მდივანი ვალდებულია აწარმოოს სხდომის მიმდინარეობის ჩანაწერი, გააცნოს მისი შინაარსი სხდომის მონაწილეებს, რაც შემდგომში ნაბეჭდი ოქმის გაფორმების საფუძველი გახდება;

- 3.4.5. საკონკურსო კომისიის შუალედური სხდომის ოქმის დადგენილებით ნაწილში უნდა აისახოს, თუ ვისი განცხადება აკმაყოფილებს შესაბამისი თანამდებობებისათვის წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ საკონკურსო მოთხოვნებს. ოქმში წერილობით უნდა აისახოს, თუ ვის და რატომ ეთქვა უარი კონკურსში მონაწილეობაზე. საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს შემდეგ ეტაპზე გადასულ კონკურსანტთა სიის საჯაროობას;
- 3.4.6. საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტებს შესაბამისი უნარ-ჩვევების ან ცოდნის გამოსავლენად შეიძლება მოეთხოვოს საჯარო ლექციის ჩატარება ან გასაუბრება, რაც აისახება შესაბამის ოქმში;
- 3.4.7. საკონკურსო კომისიის დასკვნითი სხდომა ეძღვნება კონკურსის შედეგების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას.
- 3.4.8. გადაწყვეტილება აკადემიური თანამდებობების დაკავებაზე მიიღება ღია კენჭისყრის წესით.
- 3.4.9. ყოველ ვაკანტურ თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა დადებით ხმების უმრავლესობას - 50%+1 ხმა. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს.
- 3.4.10. საკონკურსო კომისიის დასკვნითი სხდომის დასრულებისთანავე კომისიის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად და კონკურსანტთა საბუთებს მიღება-ჩაბარების აქტით უბრუნებს ადმინისტრაციულ სამსახურს.
- 3.4.11. თუ რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ შემოვიდა განცხადება ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ადგილები, დარჩენილ ვაკანსიებზე განმეორებითი კონკურსის გამოცხადების საკითხს წყვეტს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

### 3.5. საპროცედურო კომისია

- 3.5.1. კონკურსის შედეგების საჯაროდ გამოცხადებიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა, კონკურსანტს უფლება აქვს გაასაჩივროს შედეგები;
- 3.5.2. კონკურსის შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით იქმნება საპროცედურო კომისია. საპროცედურო კომისიის მუშაობის მიზანია, საკონკურსო კომისიის მიერ დაშვებული საპროცედურო დარღვევების განხილვა;
- 3.5.3. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, საპროცედურო კომისია უფლებამოსილია ხმათა უმრავლესობით შეცვალოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება;
- 3.5.4. საპროცედურო კომისიის გადაწყვეტილება გაფორმებული სათანადო ოქმით, დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს რექტორს;
- 3.5.5. საპროცედურო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა ხდება 3.2.2. და 3.4.2. პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად;
- 3.5.6. საპროცედურო კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში მიიწვიოს სპეციალისტები;
- 3.5.7. საპროცედურო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 3 დღისა. საპროცედურო კომისიის გადაწყვეტილება არის საბოლოო და სასწავლო უნივერსიტეტში გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
- 3.5.8. საპროცედურო კომისიის შემადგენლობაში შედის:
  - ა) სკოლის დეკანი;
  - ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
  - გ) პერსონალის მართვის სამსახურის წარმომადგენელი.

#### 4. დასკვნითი დებულებანი.

ეს დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.